საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

# საქპატენტი

ქ. მცხეთა "08" 08 2013 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1144/03

### სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 1-ლი აგვისტოს N 16815 განცხადებით დახურული სააქციო საზოგადოების „ტმ ელისეევსკიე" წარმომადგენელმა თენგიზ ხუდოიანმა (მის.: კრილატსკაიას ქუჩა N5, 121552, მოსკოვი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ЕЛИСЕЕВСКОЕ" (რეგ. N16815) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით რეგისტრაცია სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში. სასაქონლო ნიშანი „ЕЛИСЕЕВСКОЕ" (რეგ. N16815) საქართველოში რეგისტრირებულია 31.08.2006 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 31.08.2016 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 29-ე და 30-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სასაქონლო ნიშანზე „ЕЛИСЕЕВСКОЕ" (რეგ. N16815) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით 29-ე და 30-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ . (მოთხოვნის რეგისტრაციის N336, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 08.08.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; სააქციო საზოგადოების „ტმ ელისეევსკიე" წარმომადგენელს თენგიზ ხუდოიანს (მის.: ქალაქი თბილისი, წულუკიძის N18, ბინა 21).

ასლი დედანთან სწორია
"08" 08 2013წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: **ЕЛИСЕЕВСКОЕ ЕЛИСЕЕВСКОЕ**

რეგისტრაციის N: **16814**

მფლობელი: **ზაკრიტოე აქციონერნოე ობშესტვო „ტმ „ელისეევსკიე“**

მისამართი: **ულ. კრილატსკაია, დ. 5, 121552 მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია**

კლას(ებ)ი: **29; 30; 35**

**29** - საკვები ალგინატები, ანჩოუსები, დამუშავებული არაქისი, საკვები ცილები, კვერცხის ცილა, დაკონსერვებული ლობიო, დაკონსერვებული სოია, ბულიონები, ჯანჯაფილის მურაბა, ცხიმოვანი ნაერთები საკვები ცხიმების დასამზადებლად, საკვები ჩიტის ბუდეები, დაკონსერვებული ბარდა, დაკონსერვებული სოკო, ნანადირევი, ტოლმა, საკვები ჟელატინი, ხორცის ჟელე, საკვები ჟელე, ხილის ჟელე, კვერცხის გული, ქოქოსის ცხიმი, საკვები ძვლის ცხიმი, ღორის ქონი, საკვები ცხიმები, ცხოველური ცხიმები, ძეხვეული, ქიშმიში, ხიზილალა, საკვები კაზეინი, კომბოსტოს მჟნილი, საკვები თევზის წებო, სისხლის ძეხვი; ხორცის, ბოსტნეულის, თევზის და ხილის კონსერვები, ბულიონის კონცენტრატები; კორნიშონები; ხორცის, თევზისა და ბოსტნეულის კატლეტები; კრევეტები, ნაღების კრემი, კროკეტები, საკვებად გამოსაყენებელი აბრეშუმის ჭიის ჭუპრები, ლანგუსტები (არაცოცხალი), ორაგული, დაკონსერვებული ხახვი, მარგარინი, დაკეპილი ბოსტნეულის მარინადი ცხარე სანელებლით, მარმელადი, მცენარეული ზეთები, არაქისის ზეთი, კაკაოს ზეთი, ქოქოსის ზეთი, კარაქი, მიდიები (არაცოცხალი), დანაყილი ნუში, საკვები ძვლის ტვინი, მოლუსკები (არაცოცხალი), რძე, საკვებად გამოსაყენებელი თევზის ფქვილი, ხილის ბილობი, ხორცი, დაკონსერვებული ხორცი, დაკონსერვებული ბოსტნეული, გამხმარი ბოსტნეული, თერმულად დამუშავებული ბოსტნეული, კარტოფილის მაჭკატები, დაკონსერვებული ზეთისხილი, ასთაკვი (არაცოცხალი), გამხმარი ქოქოსის კაკალი, დამუშავებული კაკალი, ტომატის პასტა, ღვიძლის პაშტეტი, საკვები პექტინები, პელმენები, ღვიძლი, პიკული, შაქრის სიროფში მოხარშული ნაყოფი ან კენკრა, ხორცის ნახევარფაბრიკატები, კვერცხის ფხვნილი, დამარილებული ღორის ბარკლის პროდუქტები, რძის პროდუქტები, თევზის პროდუქტები, საკვები პროტეინები, შინაური ფრინველი (არაცოცხალი), საკვებად დამზადებული მცენარის ყვავილის მტვერი, შტოშის პიურე, ვაშლის პიურე, კიბოსნაირნი (არაცოცხალი), თევზი (არაცოცხალი), დაკონსერვებული თევზი, დამარილებული თევზი, ბოსტნეულის სალათები, ხილის სალათები, ქონი, სარდინები, ღორის ხორცი, ქაშაყი, ათქვეფილი ნაღები, ცხიმების ნარევები ბუტერბროდებისათვის, საჭმლის მოსამზადებელი ტომატის წვენი, საჭმლის მოსამზადებელი ბოსტნეულის წვენები, დამარილებული ხორცი, სოსისი ორცხობილით,

ბულიონის მოსამზადებელი შედგენილობები, წვნიანის მოსამზადებელი შედგენილობები, სუბპროდუქტები, წვნიანები, ბოსტნეულის წვნიანები, რძის შრატი, ყველი, ტაინა (ქუნჯუტის მარცვლებისაგან დამზადებული ცომი), სოიას ხაჭო, დაკონსერვებული სუნელ-სანელებელი ბალახები, ტრეპანგები (არაცოცხალი), დაკონსერვებული თირკმელა სოკო, თინუსი, ხამანწკები (არაცოცხალი), მაჭიკის ფერმენტები, ფინიკი, ფრიკადელები, მოსარკლული ხილი, გაყინული ხილი, დაკონსერვებული ხილი, სპირტში დაკონსერვებული ხილი, თერმულად დამუშავებული ხილი, კარტოფილის ფანტელი, საკვებად გამოყენებადი აბრეშუმის ჭიის ქრიზალინდები (ჭუპრები), ხუმოსი (თურქული ბარდისაგან დამზადებული ცომი), ხილის ცედრა, დაკონსერვებული ოსპი, კარტოფილის ჩიპსები, ხილის ჩიპსები, მწვადი, საკვები წყალმცენარეების ექსტრაქტები, ხორცის ექსტრაქტები, ლოკოკინას კვერცხი, კვერცხი.

**30** - არომატიზატორები, არომატიზატორები (ეთერზეთების გარდა), ბადიანი, ბისკვიტები, ბლინები, დატენილი მაჭკატები, ბრიოშები, ფუნთუშები, ვანილინი (ვანილის შემცვლელი), ვანილი (არომატული ნივთიერება), გირცები, ვაფლები, ვერმიშელი, ყავისათვის არომატის მიმცემი ნივთიერებები, ბუნებრივი დამატკბობელი ნივთიერებები, შემკვრელი ნივთიერებები ძეხვეულისათვის, შემკვრელი ნივთიერებები საკვები ყინულისათვის, ზღვის წყალი (საჭმლის მოსამზადებლად), წყალმცენარეები (სანელებელი), მიხაკი (სანელებელი), საკვები გლუკოზა, მდოგვი, შემასქელებლები საკვები პროდუქტებისათვის, ყავის შემცვლელები, საკონდიტრო ნაწარმი საახალწლო ნაძვისხის მოსართავად, ტკბილი ცომისაგან დამზადებული, უპირატესად დატენილი საკონდიტრო ნაწარმი, ცომეული საკონდიტრო ნაწარმი, არაქისზე დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი, ნუშზე დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი, მაკარონის ნაწარმი, ფუნთუშეული, გაყინული იოგურტი, კაკაო, კაკაოს პროდუქტები, კაპარები, კარამელი, რძის ფაფები, კიში (მოზრაწული ღვეზელი წვრილად დაჭრილი ქონით), საკვები წებოვანა, კანფეტები, ძირტკბილას კანფეტები, პიტნის კანფეტები, ყავა, დაუმუშავებელი ყავა, საკვები სახამებელი, კრეკერები, საკვები ბურღულები, დაღერღილი სიმინდი, შემწვარი სიმინდი, სიმინდის ფქვილი, კულებიაკები, საკვები კურკუმა, კუსკუსი, ცომეული საჭმელი, ატრია, ყინული გასაცივებლად, ბუნებრივი ან ხელოვნური ყინული, საკვები ყინული, შაქარ-ყინული, ბრინჯის კვერები, მალტოზა, მარმელადი (საკონდიტრო ნაწარმი), მანტები, მარციპანები, რძის ტკბილი მასა საკონდიტრო ნაწარმისათვის (მოხარშული კრემი), თაფლი, ფუტკრის რძე (სამედიცინო მიზნით გამოყენებულის გარდა), ნაყინი, ხილის ნაყინი, ფქვილი, მიუსლი, პიტნა საკონდიტრო ნაწარმისათვის, კაკაო-რძის სასმელები, ყავა-რძის სასმელები, ყავის სასმელები, ჩაიზე დამზადებული სასმელები, რძიანი შოკოლადის სასმელები, შოკოლადის სასმელები, კაკაოს სასმელები, არასამკურნალო ნაყენები, დაღერღილი შვრია, გასუფთავებული შვრია, მუსკატის კაკალი(ჯავზი), პასტილები (საკონდიტრო ნაწარმი), ბადაგი, პელმენები, მათ შორის ცხვრის, წიწაკა, წიწაკა (სანელებლები), პეტიფურები, ნამცხვარი, ღვეზელი, ხორციანი ღვეზელა, პიცა, ხორცის საწებლები, პომადურები (საკონდიტრო ნაწარმი), პოპკორნი, ფხვნილები ნაყინისათვის, პრალინე, სანელებლები, ოჯახის პირობებში ხორცის დასარბილებელი პროდუქტები, მარცვლოვანი პროდუქტები,

ფქვილის პროდუქტები, შვრიაზე დამზადებული პროდუქტები, სახამებლის შემცველი კვების პროდუქტები, პროპოლისი, თაფლაკვერები, სანელებლები, პუდინგები, ფქვილი საკონდიტრო ნაწარმისათვის ტკბილი ერბოზელილი ცომის საფუძველზე, რავიოლი, საღეჭი რეზინი(სამედიცინო მიზნით გამოყენებულის გარდა), ბრინჯი, გაზაფხულის რულეტი (ბრინჯის ფქვილის ბლინში გახვეული ნედლი ბოსტნეული), შაქარი, ანისულის თესლი, ტკბილი ერბოზელილი ცომი საკონდიტრო ნაწარმისათვის, ტკბილეული, ალაო, მარილი საკვები პროდუქტების დასაკონსერვებლად, სუფრის მარილი, ნიახურიანი მარილი, სპაგეტი, სანელებლები, სტაბილიზატორები ათქვეფილი ნაღებისათვის, ორცხობილები, ორცხობილა პანირებისათვის, სუში, სენდვიჩები, საფუარის აბები (სამედიცინო მიზნით გამოყენებულის გარდა), ტაბულე (კერძი ბოსტნეულის, ბარდის, ზეთისა და ლიმონის წვენისაგან), ტაკოსი (ხორცითა და ბოსტნეულით დატენილი სიმინდის უმარილო კვერი), ტაპიოკა, ნუშის ცომი, ტორტილები (სიმინდის კვერები), ხილ-კენკრის ტორტები, ტკბილი ერბოზელილი ცომისაგან დამზადებული საკვები მოსართავები საკონდიტრო ნაწარმისათვის, ძმარი, ფერმენტები ცომისათვის, ჰალვა, ხინკალი, პური, პური უმარილო ცომისაგან, ფანტელები მარცვლეული პროდუქტებისაგან, ციკორი, ჩაი, ჩაი ყინულით, შოკოლადი, ალაოს ექსტრაქტი, საკვები ესენციები (ეთეროვანი ესენციებისა და ეთერზეთების გარდა).

**35** - რეკლამა, მენეჯმენტი ბიზნესის სფეროში, ადმინისტრაციული საქმიანობა ბიზნესის სფეროში, საოფისე სამსახური, საქონლის ჩვენება, გამოფენების მოწყობა კომერციული ან რეკლამის მიზნით, სავაჭრო ბაზრობების მოწყობა კომერციული ან რეკლამის მიზნით, აუქციონით გაყიდვა, საქონლის რეალიზაცია (მესამე პირთათვის), მათ შორის მაღაზიების საშუალებით, საქონლის რეალიზაცია კრედიტით, საქონლის რეალიზაცია ბითუმად და საცალო ვაჭრობით, საქონლის რეალიზაცია კატალოგებით, საქონლის რეალიზაცია ელექტრონული კავშირისა და ინტრნეტის საშუალებით; ნიმუშების გავრცელება, სარეკლამო განცხადებების გავრცელება, მომარაგების სამსახური მესამე პირთათვის ( საქონლის შესყიდვა და და საწარმოთა მომსახურება).